## იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ს ი ლ ა ბ უ ს ი

## 2011 – 2012 სასწავლო წელი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური
**კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული
**სალექციო კურსის დასახელება და მისი კოდი:** პედაგოგიკის ისტორია P.2.P.01
**კრედიტების რაოდენობა:** 5 ESTC
**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო-არჩევითი მაგისტრატურის სტუდენტებისათვის
**ლექტორი:** ასოც. პროფესორი ნინო მოდებაძე; ტელ: 8555452794
**სალექციო კურსის აღწერა:** „პედაგოგიკის ისტორია" წარმოადგენს არჩევით სალექციო კურსს. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის. კურსი მოიცავს პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიას უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. კურსში ნაჩვენებია ის მიმართულებები, რომელიც მოიცავს პირველყოფილ საზოგადოებაში აღზრდის, საზღვარგარეთის და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიას, იმას თუ როგორ მიმდინარეობდა და სრულყოფილი ხდებოდა აღზრდისა და სწავლების სისტემების განვითარება დღემდე. ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია მომავალი მასწავლებლისათვის. იგი ხელს უწყობს მასწავლებლის პედაგოგიური აზროვნების ჰორიზონტის გაფართოებას. ქედან გამომდინარე:
**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:** კურსის მიზანია მაგისტრანტებმა სრულყოფილად შეისწავლონ პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიების აღზრდის, განათლებისა და სწავლების განვითარების ისტორია, რაც თავის მხრივ მათი განვითარების არსს წარმოადგენს.

კურსის ამოცანაა შეასწავლოს მაგისტრანტებს პედაგოგი კორიფეების, მოწინავე პედაგოგთა და მეცნიერთა შეხედულებები და პრაქტიკული გამოცდილებანი, რათა მომავალ მასწავლებელს შეეძლოს მათ საფუძველზე და თანამედროვე შეხედულებათა თანხვედრით განახორციელოს თავისი ეფექტური პრაქტიკული საქმიანობა პედაგოგიურ პროცესში.
**პრერეკვიზიტი:** არა აქვს
**სალექციო კურსის შედეგი:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვთ საფუძვლიანი ცოდნა პედაგოგიკის ისტორიაში | სტუდენტი ფლობს საფუძვლიან ცოდნას მოწინავე პედაგოგთა და მეცნიერთა ბიოგრაფიული და შემოქმედებითი საქმიანობის, შეხედულებების, მათ მიერ შექმნილი საგანმანათლებლო სისტემების შესახებ. კარგად იცის განათლების სხვადასხვა თეორიების წარმოშობისა და განვითარების ეტაპები საუკუნეების მიხედვით როგორც საზღვარგარეთის, ისე ქართულ სინამდვილეში. |

| | | |
|---|---|---|
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებისა და თეორიების ღრმა, შედარებითი ანალიზი; აანალიზებს განათლების თანამედროვე თეორიებს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმების მიმდინარეობისა და ამ მხრივ ჩვენი სარეფორმო პრაქტიკის პრობლემათა გადაწყვეტის ასპექტებით. შეუძლია კონკრეტული საგანმანათლებლო ამოცანის ეფექტური გადაწყვეტა განათლების სხვადასხვა თეორიებში მოძიებულ მეთოდებთან შესაბამისობაში. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეეძლებათ კოლეგებთან პროფესიულ სფეროში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ერთნაირი ეფექტურობით მუშაობენ ჯგუფში როგორც ლიდერი და რიგითი წევრი. |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგი-ების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, შესაბამისი თვალსაჩინოებით პრეზენ-ტაციის მომზადება. ეფექტურად კით-ხულობენ და ამუშავებენ ლიტერა-ტურას. შესწევთ უნარი, კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი თავი და აქედან გამომდინარე, მუდმივად ზრუნავენ საკუ-თარი პროფესიონალიზმის ამაღლებაზე. |
| ღირებულებები | აქვს საგანმანათლებლო საქმი-ანობაში არსებული ღირებულე-ბების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი. | სათანადოდ აფასებს პედაგოგიკის ისტო-რიის შემქმნელთა ღვაწლს მეცნიერების განვითარებაში. გათავისებული აქვს მათი ცხოვრებისეული ღირებულებები და წარ-მატებით ახდენს მათ ადაპტაციას საკუთარ ქმედებებში. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**ძირითადი ლიტერატურა**:

1)„პედაგოგიკის ისტორია," პროფესორ ნათელა ვასაძის რედაქტორობით, თბილისი 1980 წ.

2) „პედაგოგიკის ისტორია", პროფესორი ნ. ვასაძე, პროფესორი ვ. გაგუა, თბილისი 1998;

**დამხმარე ლიტერატურა**:

1) იაკობ გოგებაშვილი, „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, თბ. 1977;
2. იაკობ გოგებაშვილი,ი. (1982),*„საგანძური“*, თბ. ამომცემლობა განათლება;
3. უშინსკი, კ. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1974;
4. თავზიშვილი, გ. *რჩეული ნაწერები,* ტ. 1,2, თბ. განათლება 1974;
5. Я. А. Коменский Избранние педагогические сочинения, М. Педдагогика, Т I 2, 1982;
6. ზამბახიძე,ვ. (1971) *ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები*, თბ. გამომცემლობა განათლება.

**სტუდენტთა შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები:**
შეფასების 100% გადანაწილდება შემდეგი სახით:

<u>შუალედური შეფასება</u> – მაქსიმალური 60%

მათ შორის: *2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

*4 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (5% x 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%,

რომელზედაც სტუდენტს საშუალება ეძლევა ზეპირსიტყვიერად წარმოაჩინოს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები ამა თუ იმ საკითხე მსჯელობისას. პრეზენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა თვითოეული სტუდენტისათვის და ჩატარების განრიგი თემატიკის გათვალისწინებით და სტუდენტთან შეთანხმებით გაწერილ იქნება სემესტრის დასაწყისში დაახლოვებით მეორე, მესამე ლექციის შემდეგ. რეზენტაციის შეფასება მოხდება ცხრილში მოცემული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |
| თემის გასაგებად წარმოდგება | 3 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 2 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |
| სულ: | 10 ქულა |

- შეგახსენებთ, რომ ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის (40 ქულა) მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი

დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).

- ფინალური გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, რომლის ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათია. საგამოცდო დავალება მოიცავს 10 საკითხს აქედან და თვითეული საკითხი ფასდება მაქსიმალური 4 ქულით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა-

## სალექციო კურსის სტრუქტურა

**I კვირა**

1 **თემა:** აღზრდა პირველყოფილ საზოგადოებაში. აღზრდა-განათლება მონათმფლობელურ საზოგადოებაში.

**ლიტერატურა:** ვასაძე, ნ. (1988) *პედაგოგიკის ისტორია,* გვ. 5, 11,-37

*პედაგოგიკის ისტორია*, 1998, გვ. 11-16

**II კვირა**

2 **თემა:** აღზრდა, სკოლა და პედაგოგიური აზრი ფეოდალურ საზოგადოებაში.

**ლიტერატურა:** ვასაძე, ნ. (1988) *პედაგოგიკის ისტორია*, ნ. ვასაძის რედაქტორობით 1988 წ. გვ. 37-61

*პედაგოგიკის ისტორია*, 1998 გვ. 26-36

**III კვირა**

3 **თემა:** იან ამოს კომენსკი

**ლიტერატურა:** *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 61-78

*პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 71-88

**IV კვირა**

4 **თემა:** ჯონ ლოკის და ჟანჟაკ რუსოს პედაგოგიური იდეები

**ლიტერატურა:** *პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 78-85

*პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 88-117

**V კვირა**

5 **თემა:** XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლები (ჰელვეცი დიდრო) პედაგოგიური შეხედულებები, იოჰან ჰენრიხ ჰესტალოცი.

**ლიტერატურა:** *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 85-104

*პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 65-69

**VI კვირა**

6 **თემა:** იოჰან ჰერბარტის, ადოლფ დისტერვერგის და რობერტ ოუენიოს პედაგოგიური შეხედულებანი.

**ლიტერატურა:** *პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 104-131

*პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 132-160

**VII კვირა**

7 **თემა:** დიდი რუსი პედაგოგი კ.დ. უშინსკის პედაგოგიური შეხედულებანი

**ლიტერატურა:** *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 220-238

**VIII კვირა**

8 **თემა:** სწავლა-განათლება ძველ საქართველოში უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე.

**ლიტერატურა**: პედაგოგიკის ისტორია, 1988 წ. გვ. 278-338
პედაგოგიკის ისტორია, 1988 წ. გვ. 180-192

**IX კვირა**

**9 თემა:** სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში გვ. 338-376

**ლიტერატურა**: *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 376-398
*პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 192-200

-

**X კვირა**

**10 თემა:** გელათის აკადემია, იყალთოს, გრემის აკადემიები, თბილისისა და თელავის სემინარიები.

**ლიტერატურა**: *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 297-324
*პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 201-217

**XI კვირა**

**1 თემა:** პედაგოგიური იდეები XVII-XVIII საუკ. საქართველოში, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი.

**ლიტერატურა**: *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 324-338
*პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 217-225

**XII კვირა**

**12 თემა:** სახალხი განათლება XIX საუკუნის I და II ნახევარში

**ლიტერატურა**: *პედაგოგიკის ისტორია*-35, 1988 წ. გვ. 3386
*პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 231-264

**XIII კვირა**

**13 თემა:** ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური შეხედულებანი

**ლიტერატურა**: *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 357-360
*პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 264-268

**XIV კვირა**

**14 თემა:** აკაკი წერეთლის და ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური შეხედულებანი

**ლიტერატურა**: *პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 361-371
*პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 270-282

**XV კვირა**

**15 თემა:** იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და პედაგოგიური იდეები.

**ლიტერატურა***: პედაგოგიკის ისტორია,* 1988 წ. გვ. 376-395
*პედაგოგიკის ისტორია*, 1988 წ. გვ. 287-307